პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 139 (11143) | პარასკევი, 20 ივნისი, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი რწმენას გამოთქვამს, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების წესი, ფასებისა და პირობების შესახებ დარგში შემუშავებული ღონისძიებანი მთელი საბჭოთა ხალხის მოწონებას პოვებენ და ხელს შეუწყობენ ქვეყნის ეკონომიკის სწრაფ ზრდას და მშრომელთა კეთილდღეობის აღმავლობას, კიდევ უფრო განამტკიცებენ მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირს — ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების წარმატებით მშენებლობის ურყევ საფუძველს.

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1958 წლის 17—18 ივნისს გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა და განიხილა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება სავაღდებულო ჩაბარებისა და მტს-ების მუშაობის ნატურანაზღაურების გაუქმების შესახებ, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ახალი წესის, ფასებისა და პირობების შესახებ და მოხსენების გამო მიიღო შესაბამისი დადგენილება, რომელიც დღეს ქვეყნდება.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა აირჩია ამხანაგები ნ. ვ. პოდგორნი და დ. ს. პოლიანსკი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატებად.

სავალდებულო ჩაბარებისა და მტს-ების მუშაობის ნატურანაზღაურების გაუქმების შესახებ, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ახალი წესის, ფასებისა და პირობების შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გამო, მიღებული 1958 წლის 18 ივნისს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნის, საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მტს-ების რეორგანიზაციის ღონისძიებანი, რომლებიც პარტიამ შეიმუშავა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე და მთელმა ხალხმა მხურვალედ მოიწონა, წარმატებით ხორციელდება და შესანიშნავ შედეგებს იძლევიან, სოციალისტური მრეწველობა და უწინარეს ყოვლისა მძიმე ინდუსტრია მაღალი ტემპით ვითარდებიან, მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებენ სახელმწიფო გეგმებს. ამით მყარდება გამარჯვება პარტიის ლენინური პოლიტიკისა, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყნის ეკონომიური ძლიერების ყოველი ღონისძიებით განმტკიცებას. ტექნიკურ პროგრესს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში და მშრომელთა კეთილდღეობის განუხრელ აღმავლობას. სოციალისტურმა ინდუსტრიამ, არის რა წამყვანი ძალა სახალხო მეურნეობაში, უზრუნველყო ტექნიკური ხელახალი შეიარაღება და სწრაფი ზრდა სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა. ჩვენმა საბჭოთა გლეხობამ, გაერთიანდა რა კოლმეურნეობებში და იყენებს რა მსხვილი კოლექტიური სოციალისტური მეურნეობის უპირატესობებს, უდიდესი წარმატებანი მოიპოვა საზოგადოებრივი წარმოების განვითარებაში. ახლა კოლმეურნეობები საბჭოთა მეურნეობებთან ერთად სახელმწიფოსათვის სურსათისა და სოფლის მეურნეობის ნედლეულის ძირითადი ჩამბარებლები არიან.

კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობა გახდა კოლმეურნეთა მთელი ცხოვრების, მათი მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების მტკიცე საფუძველი.

უდიდესი შესაძლებლობანი, რომლებსაც შეიცავს მსხვილი სოციალისტური სოფლის მეურნეობა, განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა უკანასკნელ წლებში, როცა პარტიამ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის (1953-წ.) და შემდგომ პლენუმებზე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებით შეიმუშავა და წარმატებით ხორციელდება დიდი ღონისძიებანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხელმძღვანელობის გასაუმჯობესებლად, გამოცდილი ხელმძღვანელი კადრებით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების განსამტკიცებლად, სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაძლიერებლად, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებით კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა მატერიალური დაინტერესების ასამაღლებლად, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დაგეგმვის ახალი წესის შემოსაღებად და საზოგადოებრივი მეურნეობის ორგანიზაციაში კოლმეურნეთა ინიციატივის შემდგომ განსავითარებლად.

თუ რა დიდ დახმარებას უწევს სახელმწიფო სოფლის მეურნეობას, ამას შემდეგი მონაცემები მოწმობენ. რამდენჯერმე გაიზარდა კოლმეურნეობებში სპეციალისტების არმია: თუ 1953 წლის 1 ივლისისათვის კოლმეურნეობებსა და მტს-ებში 83 ათასი უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტი მუშაობდა, 1957 წლის დამლევისათვის ასეთი სპეციალისტი 278 ათასი იყო. 1954-1957 წლების პერიოდში სოფლის მეურნეობაში გაიგზავნა ასეულ ათასობით ტრაქტორი და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა. უკანასკნელ ოთხ წელიწადში სოფლის მეურნეობაში საწარმოო შენობათა, ნაგებობათა მშენებლობას, ტრაქტორების, მანქანებისა და მოწყობილობის ანაზღაურებას სახელმწიფომ მოახმარა 75 მილიარდ 400 მილიონი მანეთი კაპიტალდაბანდება, ანუ 10 მილიარდი მანეთით მეტი, ვიდრე ამ მიზნებს მოხმარდა მეორე, მესამე. მეოთხე ხუთწლედებსა და მეხუთე ხუთწლედის სამ წელიწადში ერთად, შესადარ ფასებში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სოფლის მეურნეობის მუშაკთა მატერიალური დაინტერესების გადიდების მიზნით მნიშვნელოვნად გადიდდა სოფლის მეურნეობის ყველა ძირითადი პროდუქტის დასამზადებელი და შესასყიდი ფასები, შემცირდა კოლმეურნეთა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ოდენობა. 1958 წლის 1 იანვრიდან კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა მეურნეობები სავსებით განთავისუფლებულია სოფლის მეურნეობის პროდუქტების სავალდებულო ჩაბარებისაგან.

პარტიის მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ახალ, უფრო მაღალ დონეზე ავიდნენ. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უმეტესობა ახლა ყოველმხრივ განვითარებული მეურნეობები გახდა, ისინი ეკონომიურად მაღალგანვითარდნენ, მნიშვნელოვნად გაადიდეს მწარმოებლობისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება და სახელმწიფოსათვის ჩაბარება. უკანასკნელ ოთხ წელიწადში სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტების საშუალო წლიური დამზადება წინა ოთხ წელიწადთან შედარებით გადიდდა: მარცვლეულისა — 22 პროცენტით, ხოლო ხორბლისა — 44 პროცენტით, ზეთოვანი კულტურების თესლისა — 34 პროცენტით, კარტოფილისა — 28 პროცენტით, ნედლი ბამბისა — 12 პროცენტით, შაქრის ჭარხლისა — 36 პროცენტით, სელის ბოჭკოსი—თითქმის ერთიორად, ხორცისა — 51 პროცენტით, რძისა—62 პროცენტით, კვერცხისა—42 პროცენტით, მატყლისა — 41 პროცენტით.

საბჭოთა კავშირი სოფლის მეურნეობის მთელი რიგი პროდუქტების წარმოებაში უახლოვდება ამერიკის შეერთებული შტატების სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობას, ხოლო ზოგიერთი პროდუქტის მიხედვით უკვე დაეწია და კიდევაც გადააჭარბა ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ პროდუქტების წარმოების თანამედროვე დონეს. მაგალითად, რძის წარმოება 1957 წელს უკვე შეადგენდა ამერიკის შეერთებული შტატების წარმოების დაახლოებით 95 პროცენტს, ერბოკარაქის წარმოება რამდენადმე მეტი გახდა, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში. საბჭოთა კავშირი უკვე ორჯერ და მეტად სჭარბობს ამერიკის შეერთებულ შტატებს ხორბლის წარმოების მოცულობის მხრივ, შაქრის ჭარხლის წარმოების მხრივ — დაახლოებით სამჯერ, მატყლის წარმოების მხრივ — ორნახევარჯერ. მოწინავე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების თაოსნობით ფართოდ გაჩაღებულმა მოძრაობამ იმისათვის, რომ უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ, უკვე მოგვცა მნიშვნელოვანი შედეგები და არავითარი ეჭვი არ არის, რომ ეს ამოცანა წარმატებით იქნება გადაწყვეტილი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ ჩვენს სოფლის მეურნეობას ყველა შესაძლებლობა აქვს, რათა წლითიწლობით კიდევ უფრო გაადიდოს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება და ჩაბარება სახელმწიფოსათვის.

ჩვენი ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ახალი მკვეთრი აღმავლობის საქმეში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ექნება იმას, რომ წარმატებით განხორციელდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებანი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კანონი საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ.

საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის ღონისძიებანი, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ შეიმუშავეს, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში არსებული რეზერვების გამოყენების კიდევ მეტ შესაძლებლობას ქმნიან. კოლმეურნეობებში ახლა შეიქმნა უფრო ხელშემწყობი პირობები, რათა უკეთ გამოიყენონ მიწა და ტექნიკა, გაადიდონ შრომის ნაყოფიერება, შეამცირონ შრომის დანახარჯი სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებაზე, არის ყველაფერი, რაც კი საჭიროა, იმისათვის, რომ კიდევ უფრო სწრაფად გაიზარდოს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის მთლიანი და სასაქონლო პროდუქციის წარმოება.

იმ ღონისძიებათა სისწორეს, რომლებსაც ჩვენი პარტია ახორციელებს საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციისათვის. მკაფიოდ გამოხატავს ის, რომ უკვე მიმდინარე წლის საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოთა დაწყებისათვის ქვეყნის ბევრმა კოლმეურნეობამ შეიძინა ტექნიკა. საგაზაფხულო თესვის მსვლელობამ ცხადყო, რომ ტრაქტორებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებს კოლმეურნეობებში უკეთ იყენებენ, ვიდრე ისინი გამოყენებული იყო წინათ მტს-ებში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს მიაჩნია, რომ საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და განმტკიცებისათვის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მნიშვნელოვანი ზრდისა და იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა საკმარისად უზრუნველვყოთ ყველა საჭირო კვების პროდუქტით და მრეწველობა ნედლეულით, დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების სწორ ორგანიზაციასა და ამ პროდუქტების ეკონომიურად დასაბუთებულ ფასებს.

კომუნისტური პარტია სოციალისტური სახელმწიფოს განვითარების ყველა ეტაპზე შეუნელებლად და სისტემატურად განამტკიცებდა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირს — საბჭოთა სოციალისტური წყობილების ურყევ საფუძველს. მუშათა და გლეხთა ურღვევი კავშირი უზრუნველყოფს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მწარმოებლური ძალების სწრაფ განვითარებას და ამ საფუძველზე ჩვენი ქვეყნის მშრომელების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, მათი მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის შემდგომ ზრდას. მუშათა კლასისა და გლეხობის სწორი ურთიერთობის საფუძველზე მტკიცდება საწარმოო კავშირი ქალაქსა და სოფელს შორის, გეგმაზომიერად ვითარდება სახალხო მეურნეობის ყველა დარგი, მტკიცდება საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა. იზრდება ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერება, მისი გავლენა და ავტორიტეტი საერთაშორისო ასპარეზზე.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადება ქალაქისა და სოფლის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, მუშათა კლასისა და გლეხობის ეკონომიური კავშირურთიერთობის უმნიშვნელოვანესი მხარეა. სოციალისტური რევოლუციის პირველი დღეებიდანვე ვ. ი. ლენინის ინიციატივით სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადება ხორციელდება როგორც სახელმწიფოებრივი საქმე, რომელსაც საერთო-სახალხო მნიშვნელობა აქვს. „...არავითარი სოციალისტური ქვეყანა, — წერდა ვ. ი. ლენინი, — არ შეიძლება, როგორც მუშურ-გლეხური ხელისუფლების სახელმწიფო, თუ მას მუშებისა და გლეხების გაერთიანებული ძალ-ღონით არ შეუძლია ისეთი სასურსათო ფონდის შეგროვება, ხომ უზრუნველყოს მრეწველობაში ჩაბმულ მუშათა გამოკვება, რომ შესაძლებლობა ჰქონდეს ათი და ასი ათასობით მუშა დაძრას იქით, საითაც ეს საბჭოთა ხელისუფლებას ესაჭიროება. უამისოდ მხოლოდ ლაპარაკი იქნება. მეურნეობის ნამდვილი საფუძვლები — ეს სასურსათო ფონდია... ასეთი ფონდის გარეშე სოციალისტური პოლიტიკა მარტო სურვილად დარჩება“ (თხზ., ტ. 31, გვ. 623-624).

სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფო დამზადების სისტემა სავალდებულო ჩაბარების, მტს-ების მუშაობის ნატურანაზღაურების, კონტრაქტაციისა და შესყიდვის ფორმით, ამ პროდუქტების დასამზადებელი ფასების დონე ყალიბდებოდა სოციალისტური მშენებლობის კონკრეტული პირობების მიხედვით, გათვალისწინებული იყო მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცების, საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცებისა და განვითარების, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისა და სურსათზე მოსახლეობის და ნედლეულზე მრეწველობის მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილების ინტერესები.

ამჟამად არსებული დამზადების სისტემის დროს შეიქმნა კოლმეურნეობებთან სახელმწიფოს ურთიერთობის გარკვეული ფორმები. სახელმწიფო მომსახურებას უწევდა კოლმეურნეობებს მტს-ების მეშვეობით, ამუშავებდა რა ტრაქტორებითა და სხვა მანქანებით საკოლმეურნეო მიწას. თავის მხრივ კოლმეურნეობები საბჭოთა მეურნეობებთან ერთად უზრუნველყოფენ ქვეყნის მოთხოვნილებას სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე. ამასთან სოფლის მეურნეობის პროდუქტების მნიშვნელოვან წილს სახელმწიფო იღებდა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მეშვეობით მტს-ების მუშაობის ნატურალური ანაზღაურების სახით. საკმარისია ითქვას, მაგალითად, რომ ყოველწლიურად მარტო მარცვლეული ნატურანაზღაურების წესით შემოდიოდა დაახლოებით მილიარდი ფუთი.

საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განმტკიცებისათვის განხორციელებულ ღონისძიებებსა და მტს-ების რეორგანიზაციასთან დაკავშირებით სოფლის მეურნეობაში შეიქმნა ახალი პირობები, რომლებიც მოითხოვენ შეიცვალოს სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების სისტემა. ახლა საჭირო არ არის შევინარჩუნოთ სოფლის მეურნეობის დამზადების პროდუქტების მოქმედი წესი სავალდებულო ჩაბარებისა და მტს-ების მუშაობის ნატურანაზღაურების მიხედვით. ამიტომ ამჟამად მიზანშეწონილია შემოვიღოთ სახელმწიფო დამზადების ერთიანი ფორმა — სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვა. რა თქმა უნდა, რომ დამზადების ფორმა, რა გინდ სრულყოფილი იყოს იგი, თავისთავად ვერ გადაწყვეტს საჭირო რაოდენობის სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ქვეყნის უზრუნველყოფის ამოცანას. დამზადება დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ წარმოების დონეზე: რაც უფრო მეტი იქნება წარმოებული პროდუქტი, მით უფრო მეტი პროდუქტის შესყიდვა შეუძლია სახელმწიფოს. ყოველივე ამასთან ერთად დამზადების სისტემამ უნდა უზრუნველყოს, რომ სახელმწიფომ მიიღოს საჭირო რაოდენობის სოფლის მეურნეობის პროდუქტები სურსათსა და ნედლეულზე ქვეყნის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. მიზანშეწონილია სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების გეგმა დაუწესდეს რესპუბლიკებს, მხარეებს, ოლქებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მთელი რიგი წლებისათვის. მაგრამ — დამზადების წლიურ გეგმებში შეუძლიათ შეიტანონ კორექტივი გადიდების მხრივ წლის პირობებისა და ამა თუ იმ კულტურის მოსავლის მიხედვით.

იმ ღონისძიებათა განხორციელება, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ შეიმუშავეს საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განმტკიცებისათვის, ქმნის მარცვლეულისა და სხვა პროდუქტების წარმოების მკვეთრი გადიდების პირობებს. ახლა ჩვენ ყველა შესაძლებლობა მოგვეპოვება, რათა კოლმეურნეობებმა, რომელთაც საკუთარი თანამედროვე ტექნიკა აქვთ, უკეთ გამოიყენონ იგი და სწრაფად განავითარონ თავისი ეკონომიკა. მაშასადამე, წლითიწლობით გაიზრდება კოლმეურნეობების მიერ წარმოებული პროდუქტების რაოდენობა. შორს არ არის ის დრო, როცა სრულად იქნება უზრუნველყოფილი ჩვენი ქვეყნის მზარდი მოთხოვნილება სოფლის მეურნეობის ყველა პროდუქტებზე და შეიქმნება სავსებით საკმარისი რეზერვები. სახელმწიფოს მიეცემა შესაძლებლობა შეიძინოს მარცვლეული, ხორცი და სხვა პროდუქტები იმ რაიონებში, სადაც ეს პროდუქტები უფრო იაფია, იმიტომ, რომ მათი თვითღირებულება უფრო დაბალია. მაშინ შეიქმნება პირობები, რომ მოვახდინოთ სოფლის მეურნეობის უფრო ფართო სპეციალიზაცია, უფრო ფართოდ დავნერგოთ და უკეთ გამოვიყენოთ ტექნიკა, გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება და ამ საფუძველზე შევამციროთ წარმოების ხარჯები პროდუქციის ერთეულზე. რაც უფრო მეტი იქნება პროდუქტი, რაც უფრო იაფი იქნება იგი, მით უფრო კარგად იცხოვრებს ხალხი, მით უფრო სრულად იგრძნობს იმ სიკეთეს, რომელიც კომუნისტურ საზოგადოებას მოაქვს მისთვის.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეობებში დამზადებული სოფლის მეურნეობის პროდუქტების ეკონომიურად დასაბუთებულ ფასებს.

ახალი დასამზადებელი ფასების დონის განსაზღვრის დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ საჭიროა ანაზღაურდეს კოლმეურნეობათა დანახარჯი წარმოების საშუალო ზონალური პირობების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების და გაფართოებული სოციალისტური აღწარმოებისათვის საჭირო დაგროვების შექმნის გათვალისწინებით.

დაწესებული ფასები სტაბილურიც უნდა იყოს და მოძრავიც. ეს ფასები სტაბილური უნდა იყოს იმ აზრით, რომ ნორმალური მოსავლიანობის დროს ფასები არ უნდა იცვლებოდეს, მაგრამ არის ხოლმე მკვეთრი გადახრა ამა თუ იმ მხრივ, არის მოსავლისათვის ან განსაკუთრებით ხელსაყრელი ან ფრიად არახელსაყრელი პირობები, მაშინ როცა დასამზადებელი ფასები წესდება მრავალი წლის საშუალო მონაცემების მიხედვით. მაშასადამე, უნდა ხდებოდეს ფასების კორექტირება ამა თუ იმ მხრივ წლის პირობების მიხედვით. თუ ეს არ იქნა გათვალისწინებული, მაშინ ხელსაყრელ წელიწადში კოლმეურნეობებს ძალიან დიდი შემოსავალი ექნებათ იმავე ხარჯების გაწევის დროს, რომლებიც მათ აქვთ, როცა საშუალო მოსავალს იღებენ. ეს მეტად საზარალო იქნებოდა სახელმწიფოსათვის.

მეორე მხრივ, როცა გვალვის დროს მცირე მოსავალს იღებენ და, მაშასადამე, იგი ვერ ამართლებს ხარჯებს, მეურნეობები შეიძლება სერიოზულად დაზარალდნენ, თუ სახელმწიფომ არ გაუწია მათ დახმარება გადიდებული ფასის სახით, ან თესლის სესხის და სურსათის მიცემის გზითაც კი. აი ამიტომ საჭიროა სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფასები არა მარტო სტაბილური, არამედ მოძრავიც იყოს.

პარტია და მთავრობა ცდილობენ ყველაფერი გააკეთონ, რაც კი საჭიროა, რათა კოლმეურნეობათა შემოსავალი სისტემატურად იზრდებოდეს, რათა კოლმეურნეობები ვითარდებოდნენ, აფართოებდნენ წარმოებას და განამტკიცებდნენ თავიანთ საზოგადოებრივ მეურნეობას. ახალი დასამზადებელი ფასები ხელს შეუწყობენ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების გადიდებით კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების ზრდას. მაგრამ კოლმეურნეობათა შემოსავლის შემდგომი ზრდა უნდა მოხდეს მთლიანი და სასაქონლო პროდუქციის მკვეთრი გადიდების, პროდუქციის ერთეულზე შრომისა და სახსრების ხარჯვის შემცირების გზით. ეს შესაძლებელს გახდის, რომ შემდეგში გადიდდეს კოლმეურნეობათა შემოსავალი და ამასთანავე შემცირდეს დასამზადებელი ფასები და ამრიგად შეიქმნას სახელმწიფო საცალო ფასების შემცირების, მოსახლეობის მყიდველობითი უნარის გადიდების და საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების პირობები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი **ადგენს:**

1. მიზანშეწონილად ჩაითვალოს, რომ, დაწყებული 1958 წლიდან, გაუქმდეს კოლმეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების სავალდებულო ჩაბარება და ნატურალური ანაზღაურება მუშაობისა, რომელსაც მანქანა-ტრაქტორთა, სარემონტო-ტექნიკური და სპეციალიზებული სადგურები ასრულებენ კოლმეურნეობებში.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფო დამზადება კოლმეურნეობებში, დაწყებული 1958 წლიდან, განხორციელდეს შესყიდვის წესით. უფრო სწორად რომ განისაზღვროს ის, თუ რა ოდენობით მონაწილეობენ კოლმეურნეობები სოფლის მეურნეობის პრო-

(დასასრული მე-2 გვერდზე).

სავალდებულო ჩაბარებისა და მტს-ების მუშაობის ნაგულისანაზღაურების გაუქმების შესახებ, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ახალი წესის, ფასებისა და პირობების შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გამო, მიღებული 1958 წლის 18 ივნისს

(დასასრული)

დუქტებით სახელმწიფოს მომარაგებაში, კვლავაც დაცულ იქნას ძირითადი პროდუქტების, კერძოდ მარცვლეულის, კარტოფილის, ხორცის, რძის, მატყლისა და კვერცხის სახელმწიფო დამზადების მოცულობის გამოანგარიშების ჰექტარობრივი პრინციპი, მაგრამ კიდევ უფრო დიფერენციირებულ იქნას კოლმეურნეობათა მიერ ამ პროდუქტების გაყიდვის ნორმები სასოფლო-სამეურნეო წარმოების უკვე გამორკვეული სპეციალიზაციის შესაბამისად.

2. მოწონებულ იქნას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ შემუშავებული და ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში ჩამოყალიბებული წინადადებანი სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ახალი წესის, ფასებისა და პირობების შესახებ.

3. საჭიროდ ჩაითვალოს, რომ კოლმეურნეობებს ჩამოეწეროს წარსული წლების მთელი მათი დავალიანება საგალდებულო ჩაბარების, კონტრაქტაციისა და მანქანა-ტრაქტორთა და სპეციალიზებული სადგურების მუშაობის ნატურალური ანაზღაურების დარგში.

4. აღინიშნოს, რომ დამამზადებელი ორგანიზაციების დანახარჯები სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების დროს ჯერ კიდევ დიდია, არის სოფლის მეურნეობის პროდუქტების დიდი დანაკარგები და გაფუჭება, პირუტყვისა და ფრინველის ცოცხალი წონის დანაკარგები, არარაციონალური ტვირთზიდვა, რაც დიდ ზარალს აყენებს სახელმწიფოს.

დიდია აგრეთვე დანახარჯები სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამუშავებაზე სამრეწველო საწარმოებში და დამამზადებელ და სავაჭრო ორგანიზაციათა მიმოქცევის ხარჯები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს მიაჩნია, რომ სოფლის მეურნეობის დამზადებული პროდუქციის გაიაფება უნდა გახდეს ყველა ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და დამამზადებელი ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი ამოცანა. საჭიროა განხორციელდეს ღონისძიებანი დამამზადებელ ორგანიზაციათა მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, დამამზადებელ, გამსაღებელ და სავაჭრო ორგანიზაციებში ზედმეტი რგოლების შემცირებისათვის, აღმოიფხვრას უყაირათობა სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადების, შენახვის, გადამუშავებისა და რეალიზაციის საქმეში, უზრუნველყოფილ იქნას დანახარჯების მკვეთრი შემცირება, დამზადებული პროდუქციის სრული უვნებელი შენახვა, აღიკვეთოს პროდუქციის გაფუჭება და ხარისხის გაუარესება.

5. დაევალოს პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს ფართოდ განუმარტონ კოლმეურნეებს, სარემონტო ტექნიკური სადგურების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს, ყველა მშრომელს დასახულ ღონისძიებათა განსაკუთრებული მნიშვნელობა საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განმტკიცებისათვის, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების ზრდისა და ქალაქისა და სოფლის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებისათვის.

პარტიულმა ორგანიზაციებმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა ახლა მთელი ღონისძიებანი უნდა მოახმარონ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი ზრდის უზრუნველყოფას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, მიაღწიონ იმას, რომ თვითეულმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ, რაიონმა, ოლქმა, მხარემ და რესპუბლიკამ უთუოდ შეასრულოს სახელმწიფო გეგმები და 1958 წლისათვის ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის ჩაბარების დარგში.

6. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს მიაჩნია, რომ სავალდებულო ჩაბარებისა და მტს-ების მუშაობის ნატურალური ანაზღაურების გაუქმებამ, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ახალი წესისა და პირობების შემოღება ხელს შეუწყობენ კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა ინიციატივის შემდგომ განვითარებას იმ მხრივ, რომ ყველაზე ეფექტიანად გამოიყენონ მიწა, ტექნიკა, გაადიდონ შრომის ნაყოფიერება და გაზარდონ მთლიანი და სასაქონლო პროდუქციის გამოსავლიანობა 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე, შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება კოლმეურნეობებში. ეს გაუმჯობესებს ქვეყნის უზრუნველყოფას საჭირო რაოდენობის სურსათით მოსახლეობისათვის და ნედლეულით მრეწველობისათვის და შექმნის შესაძლებლობას, რომ შემდგომ შემცირდეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების დასამზადებელი ფასები და სახალხო მოხმარების საქონლის სახელმწიფო საცალო ფასები.

* * *

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი რწმენას გამოთქვამს, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების წესი, ფასებისა და პირობების შეცვლის დარგში შემუშავებული ღონისძიებანი მთელი საბჭოთა ხალხის მოწონებას პოვებენ და ხელს შეუწყობენ ქვეყნის ეკონომიკის სწრაფ ზრდას და მშრომელთა კეთილდღეობის აღმავლობას, კიდევ უფრო განამტკიცებენ მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირს — ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების წარმატებით მშენებლობის ურყევ საფუძველს.



მოძმე სოციალისტურ ქვეყნებში

გაკეთებულია ჩინეთში

ყოველ დღეს მოაქვს სახიბარულო ცნობები ჩინეთის მშრომელთა საწარმოო მიღწევების შესახებ. მწყობრში დგება ახალი ქარხნები და შახტები, ნავთობის კოშკურები, ელექტროსადგურები. ჩინეთის ქარხნები ახლა უშვებენ პირველხარისხოვან ჩარხებს, მოწყობილობას ინდუსტრიის სხვადასხვა დარგის საწარმოებისათვის. თვითანთ სამშობლოსათვის სიამაყით ამბობენ ჩინელები, ახალ ავტომანქანებს, გემებს, თვითმფრინავებს რომ გვიჩვენებენ: „გაკეთებულია ჩინეთში“.

განა დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ჩანჩუნის ავტოქარხნის საამქროებიდან გამოვიდა პირველი ჩინური სატვირთო ავტომანქანები, ახლა კი ჩინეთის სხვადასხვა ქალაქში უკვე უშვებენ რამდენიმე მარკის მსუბუქ და სატვირთო ავტომანქანებს, ავტობუსებს.

ჩინეთის კომუნისტური პარტიის VIII სრულიად ჩინეთის ყრილობის მეორე სესიის მუშაობის დღეებში ჩანჩუნის ავტოქარხნელთა კოლექტივმა პეკინში გაგზავნა თავისი საჩუქარი—ექვსადგილიანი მსუბუქი ავტომობილი „დუნფენი“ („აღმოსავლეთის ქარი“). მისი დაპროექტებისას შესწავლილ იქნა სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, საფრანგეთის, ინგლისისა და დასავლეთ გერმანიის ავტომობილების უახლესი მოდელები. 70 ცხენის ძალის სიმძლავრის ძრავა შესაძლებლობას აძლევს მანქანას განავითაროს საათში 130 კილომეტრამდე სიჩქარე. საწვავის ხარჯი 100 კილომეტრ გზაზე 9-10 ლიტრს შეადგენს. ავტომანქანის დათვალიერებისას ამხანაგმა მაო ძე-დუნმა ღიმილით უთხრა თავის გარშემო მყოფ ამხანაგებს: „ვჯდები თვითონ ჩვენ მიერ გაკეთებულ მსუბუქ მანქანაში!“.

სხვადასხვა მარკის სატვირთო ავტომობილებს უშვებენ ახლა შანხაში, ჩუნცინში, ნანკინში, ფუჯოუში. პეკინში გამოშვებულია სამთვლიანი მსუბუქი ავტომობილი ოთხი მგზავრისათვის. მანქანის მართვა უკანა ერთეული თვლის საშუალებით წარმოებს. ასეთი ავტომობილის ღირებულება მხოლოდ ცოტათი აღემატება მოტოციკლის ღირებულებას.

სამშობლოში წარმოებულ ახალ თანამედროვე ტექნიკას იღებს ჩინეთის სოფლის მეურნეობა. ამას წინათ ტიანძინის სატრაქტორო ქარხანაში გამოუშვეს პირველი უნივერსალური 40 ცხენისძალის სიმძლავრის თვლიანი ტრაქტორი.

ჩინეთის ბეიჯინგ მანქანათსამშენებლო ქარხანამ აითვისა მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების წარმოება. ასეთი ტრაქტორები შეიძლება გამოყენებულ იქნას ხვნისათვის მთა რაიონებში და სატბორავ მინდვრებში, ტვირთების გადასაზიდავად და სხვა მიზნებისათვის. ტრაქტორის მოწყობილობა მარტივია და მისი მართვა ადვილად შეუძლია ტრაქტორისტს უკანგადაწეული სახელურების საშუალებით. ხარბინის ერთ-ერთი ქარხნის ჩარხმშენებლებმა გადაწყვიტეს წლის ბოლომდე გამოუშვან 2 ათასი ასეთი ტრაქტორი, ხოლო შანხაის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა — 4 ათასი.



ამავე წლის ბოლოს ჩინეთში ააგეს და გამოსცადეს „ან-2“ ტიპის პირველი თვითმფრინავი. წელს დაიწყო ასეთი თვითმფრინავების სერიული წარმოება. თვითმფრინავმშენებელ ბ ე ლ თ ა კოლექტივის თავდადებული შრომის მეობით წლის ბოლომდე გამოშვებულ იქნება 50 პროცენტით მეტი თვითმფრინავი „ან-2“, ვიდრე თავდაპირველად იყო დასახული გეგმით.

ჩინეთის ორთქლმავალვაგონსამშენებლო ქარხნებმა წარმატებით აითვისეს მძლავრი ორთქლმავლების, სატვირთო და სამგზავრო ვაგონების გამოშვება.

ამ დღეებში შანხაის მანქანათსამშენებლო ქარხანამ ააგო პირველი ელმავალი, რომელსაც შეუძლია საათში 70 კილომეტრის სისწრაფით წაიყვანოს შემადგენლობა. წელს განზრახულია გამოშვებულ იქნას 30 ელმავალი. გასულ ჩინეთის ფოლადის მაგისტრალებზე პირველი ჩინური თბომავლები გამოჩნდება.

ქალაქ დალნიში გასულ თვეს წყალში ჩაუშვეს 8.700 ტონა წყალწყვრის სატვირთო გემი. ეს გემი, რომელიც ჩინელმა ინჟინრებმა დააპროექტეს, ჩინეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყნების ნავსადგურებს შორის იცლის. წელს დაიწყება 10 ათასი ტონა წყალწყვრის საოკეანო გემის მშენებლობა.

იმ ახალი პროდუქციის სია, რომელსაც ჩინეთში უშვებენ, შეიძლება კიდევ გაგრძელდეს. ჩინელ მუშათა წარმატებანი სახალხო ჩინეთის სამრეწველო და ტექნიკური პროგრესის მკაფიო დემონსტრაციაა.

* * *

სურათებზე: 1. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე ამხ. მაო ძე-დუნი ათვალიერებს პირველ ჩინურ მსუბუქ ავტომობილს „დუნფენს“; 2. პირველი ჩინური ტრაქტორი გამოდის ქ. ტიანძინში აშენებული ქარხნიდან.

ფოტო სინხუას სააგენტოსი.

(„კრასნაია ზვეზდა“).

ნეპალის მეფე და დედოფალი საქართველოში

რამდენიმე დღეა საქართველოში სტუმრად არიან ნეპალიდან ჩამოსული სპატიო სტუმრები — მისი უდიდებულესობა მეფე მაჰენდრა ბირ ბიქრამ შაჰ დევა და მისი უდიდებულესობა დედოფალი რატნა რაჯია ლაქშმი დევი შაჰი. ისინი დიდ ინტერესს იჩენენ ქართველი ხალხის ცხოვრების, შრომისა და კულტურისადმი.

19 ივნისს დილით მათი უდიდებულესობა თავისი ამალით რუსთავს გაემგზავრა ავტომანქანებით. მეფისა და დედოფალს ახლდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე შ. რ. რაშიდოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე კ. კონდუჩალოვა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გ. ნ. ზარუბინი, სსრ კავშირის ელჩი ნეპალში პ. კ. პონომარენკო, არმიის გენერალი ი. გ. ტიულენევი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი მ. ი. კუჭავა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ა. ნ. ინაური და სხვები.

ახალგაზრდა ქალაქმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ნეპალის მეფისა და დედოფალზე. მათ მოეწონათ ფუნდამენტური საცხოვრებელი სახლები, რომელთა არქიტექტურაში ასახულია ქართული ხუროთმოძღვრების ეროვნული ტრადიციები.

ნეპალის მეფე მაჰენდრა ბირ ბიქრამ შაჰ დევა ეწვია სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანას. მან დაათვალიერა კოქსქიმიური, მარტენის, მილსაგლინავი საამქროები. ქარხნის დირექტორმა ს. ა. შარაძენიძემ სტუმრებს გააცნო ჩვენი ქვეყნის ამ ერთ-ერთი უდიდესი საწარმოს მუშაობა.

მეფე მაჰენდრამ და მთავრობის საგეგმო კომისიის წევრმა ჯანაკ რაჯმა ბევრი კითხვა დასვეს. მათ აინტერესებდათ, თუ როდის აშენდა ქარხანა, როგორია მისი სიმძლავრე, წარმოების ტექნოლოგია, მუშათა შრომის პირობები.

მისმა უდიდებულესობამ მეფე მაჰენდრა ბირ ბიქრამ შაჰ დევამ აღნიშნა მეტალურგიული ქარხნის მექანიზაციისა და ავტომატიზაციის მაღალი დონე.

ნეპალის მეფემ იკითხა, რუსთავში კიდევ რა საწარმოებია. როცა მას განუცხადეს, რომ სხვა ქარხნებს გარდა, აქ აგებულია აზოტოვანი სასუქების ქარხანა, მან სთქვა, რამდენადაც ნეპალი აგრარული ქვეყანაა, ჩემთვის ფრიად საინტერესოა ამ საწარმოს ნახვაო. მისი უდიდებულესობის სურვილი დაკმაყოფილეს.

აზოტოვანი სასუქების ქარხანაში მეფემ დაათვალიერა მისი ძირითადი საამქროები. ქარხნის დირექტორმა ნ. ვ. ჭიპაშვილმა უამბო, რომ საწარმოს გამოშვებულ სასუქს ფართოდ იყენებენ ამიერკავკასიისა და შუა აზიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობაში. იმასთან დაკავშირებით, რომ საბჭოთა კავშირში დასახულია ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარების პროგრამა, ხორციელდება ქარხნის გაფართოების, პროდუქციის გამოშვების გადიდების ღონისძიებანი.

ნაშუადღევს მეფე-დედოფალი და მათი ამალა თბილისს დაბრუნდნენ. საღამოს მათ უჩვენეს თბილისის კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დოკუმენტალური სურათები. (საქდესი).

ამხანაგ პეტრე ნიკოლოზის-ძე პოსპელოვს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გულითადად გესალმებიან თქვენ, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწეს, თქვენი დაბადების მესამოცე წლისთავის დღეს.

სულით და გულით გისურვებთ, ძვირფასო პეტრე ნიკოლოზის-ძევ, მრავალ წელს ჯანმრთელობას და შემდგომ ნაყოფიერ მუშაობას ჩვენი დიადი სამშობლოს, საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ, კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. პ. ნ. პოსპელოვისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. პ. ნ. პოსპელოვის დაბადების მესამოცე წლისთავთან დაკავშირებით და კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე მისი დიდი დამსახურების აღსანიშნავად მიენიჭოს ამხანაგ პეტრე ნიკოლოზის-ძე პოსპელოვს სოციალისტური შრომის გმირის წოდება და გადაეცეს ლენინის ორდენი და ოქროს medali „ნამგალი და ურო“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი. 1958 წლის 19 ივნისი.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო იუგოსლავიის ელჩი ვ. მიჩუნოვიჩი

1958 წლის 19 ივნისს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ვ. მიჩუნოვიჩი მისი თხოვნით და საუბარი ჰქონდა მასთან. (საკდესი).

ვ. ი. ლენინის უცნობი წერილი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში შემოვიდა საინტერესო დოკუმენტი. ეს არის ვ. ი. ლენინის წერილი, გაგზავნილი გაზეთ „ეკონომიჩესკაია ჟიზნის“ რედაქციაში, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში და ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში. იგი დათარიღებულია 1922 წლის 10 აპრილით და დაბეჭდილია რუსეთის სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ბლანკზე.

საბჭოთა მთავრობის მეთაური წერილში აღნიშნავს, რომ საკმაოდ არ იყენებენ პრაქტიკული მუშაობისა და პრესისათვის ეკონომიური თათბირების ანგარიშებს, როგორც ადგილობრივი გამოცდილების შესწავლის დიდმნიშვნელოვან წყაროს. ვლადიმერ ილიას-ძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მხოლოდ ანგარიშების სწორი და სისტემატური შესწავლისას (ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, „ეკონომიჩესკაია ჟიზნის“ მიერ) და პრესაში შესწავლის შედეგების გაშუქებისას შეიძლება იმის მიღწევა, რომ ანგარიშები იქნება ნამდვილად უძვირფასესი მასალა, გამოსადეგი პოლიტიკური და ეკონომიური დასკვნებისათვის.

წერილს ბოლოში აქვს ვლადიმერ ილიას-ძის საკუთარი ხელმოწერა. ამავე დროს მიღებულია ვ. ი. ლენინის ხელით ბლოკნოტის პატარა ფურცელზე დაწერილი ბარათი სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისადმი საკითხზე, რომელიც დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ მშენებლობასთან.

დღემდე ეს ორი დოკუმენტი ცნობილი არ ყოფილა, ისინი ამ დღეებში ინსტიტუტს გადასცა ცნობილი საბჭოთა მეცნიერ-ენერგეტიკოსის აკადემიკოს ი. გ. ალექსანდროვის ქვრივმა პენსიონერმა ვერა ვიაჩესლავის ასულმა ალექსანდროვამ. იმ წლებში, როცა ვ. ი. ლენინმა ეს წერილი და ბარათი დაწერა, ი. გ. ალექსანდროვი და მისი მეუღლე რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში მუშაობდნენ. (საკდესი).

თეატრების მუშაკთა, დრამატურგთა და თეატრალურ კრიტიკოსთა კონფერენციის გამო

სსრ კავშირის კულტურის სამინისტრო სსრ კავშირის მწერალთა კავშირთან, კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან და სრულიად რუსეთის თეატრალურ საზოგადოებასთან ერთად მიმდინარე წლის სექტემბერში იწვევს თეატრების მუშაკთა, დრამატურგთა და თეატრალურ კრიტიკოსთა სრულიად საკავშირო კონფერენციას.

კონფერენცია მოისმენს მოხსენებებს საბჭოთა თეატრალური ხელოვნების მდგომარეობისა და ამოცანების და საბჭოთა დრამატურგიის იდეურ-მხატვრული ამოცანების შესახებ. (საკდესი).

ნათესები დავამუშაოთ აგროტექნიკურ ვადებში, მაღალხარისხოვნად

★ ★ ★ ★ ★

გადამწყვეტი დღეები

სამტრედია. (საკ. კორ.). საუცხოო სანახავია მდინარე რიონის მარცხენა მხარეს მდებარე სოფელ ეწერის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე კ. ქუქალია) ლურჯად მობიბინე სიმინდის ყანები...

ამ კოლმეურნეობამ რაიონში ერთმა პირველთაგანმა ყველაზე ადრე დაამთავრა სიმინდის თესვა. საგულდაგულოდ დამუშავებულ ნიადაგში თესლი კარგად აღმოცენდა. როცა მცენარემ 3 ფოთოლი გამოიღო, კოლმეურნეებმა მარგვლა გაიჩაღეს. დაწინაურდა ის ბრიგადა, რომელსაც კოლმეურნე ა. ლეჟავა ხელმძღვანელობს. ბრიგადის წევრებმა დღემდე გამარგლეს 38 ჰექტარი. ეწერელ კოლმეურნეებს მთლიანად გამარგლული აქვთ 215 ჰექტარი.

ნათესების დამუშავება ჩქარი ტემპით მიმდინარეობს აგრეთვე ქალაქის კიკვიძის სახელობის, დიდი ჯიხაიშის ი. ბ. სტალინის სახელობის და რაიონის სხვა კოლმეურნეობებში.

მაგრამ ასე როდი ითქმის სოფელ მელაურის ვ. სტურუას სახელობს და ლესელიძის სახელობის კოლმეურნეობების შესახებ, სადაც გამარგლული აქვთ მხოლოდ 32-35 ჰექტარი ფართობი.

დადგა სიმინდის ნათესების დამუშავების გადამწყვეტი დღეები. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ დაუმუშავებლად არ დავტოვოთ არც ერთი ჰექტარი ფართობი და აგროტექნიკური წესებით გათვალისწინებული ღონისძიებების ზუსტად დაცვით უზრუნველყოთ სიმინდის მაღალი მოსავლის მიღება.

მზრუნველი ხელი ავყვია

მდინარე აბაშის წყლის ორივე მხარეს, ნოყიერ დაბლობზე 200-მდე ჰექტარი უჭირავს დაბა გეგეჭკორის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის სიმინდის ყანებს. აქ სიმინდის ნათესებს განსაკუთრებით კარგად უვლიან. ყანებში ვერ ნახავთ სარეველებს, ნათესების დამუშავებას თესვის დამთავრებისთანავე შეუდგნენ, რამდენიმე დღეში დაამთავრებენ პირველ კულტივაციასა და თოხნას, აქაოდ დაწყებულია სიმინდის მეორე თოხნაც.

ნათესების დროული მოვლა-დამუშავებისათვის ერთმანეთს ეჯიბრებიან რვა საწარმოო ბრიგადა, რამდენიმე რგოლი, მოწინავე კოლმეურნეები. ყველა წარმატებით ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას, მაგრამ მჯობნის მჯობნი არ დაილევა. ნათესების მოვლაში ყველას გაუსწრეს მესამე, მეოთხე და მერვე ბრიგადებმა, რომლებსაც ბ. ჭედია, შ. ძარია, პ. რუხაია ხელმძღვანელობენ. აღნიშნული ბრიგადები წელს სიმინდს სამჯერ გათოხნიან. ახლა ემზადებიან ნაკვეთებში დამატებითი სასუქის — წუნწუხის შესატანად.

ნაკვეთები მიმაგრებულია კოლმეურნეებზე. ამ ღონისძიებას კარგი შედეგი მოჰყვა. კოლმეურნეებმა მ. ბირკაიამ, ა. ჭოჭუამ, ა. ჭედიამ, ა. კიკალეიშვილმა, ლ. კილაძემ, ე. კვესელავამ შარშან მათთვის მოსავლელად ჩაბარებული ნაკვეთების თვითეულ ჰექტარზე 40-45 ცენტნერი სიმინდი მოიყვანეს. ახლა მათ ყანებში ლურჯად ლივლივებს სიმინდის ნორჩი მცენარეები. წელს თვითეული მიმაგანი ჰექტარზე ს

ახალციხის რაიონის სოფელ ურაველის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობაში 30 ჰექტარზე მეტი ხეხილის ბაღებს უჭირავს. წელს კოლმეურნეობები მოელიან ვაშლის, მსხლის, ქლიავისა და სხვა ხილის უხვ მოსავალს. ს უ რ ა თ ზ ე: სოფელ ურაველის კოლმეურნეობის აგრონომი ზ. გოგოლაძე ესაუბრება მერგოლურებს თ. და გ. მოდებაძეებს ხეხილის ხეების მოვლის შესახებ.

ფოტო გ. ვახტანგაძისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია

ბორჯომი. (საკ. კორ.). კულტურის სახლში სამ დღეს მიმდინარეობდა საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტების, სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების ბალნეოლოგიური კურორტების ექიმთა მესამე სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია.

კონფერენციას დაესწრნენ აგრეთვე ადლერისა და მინერალური წყლების კურორტთა სამმართველოების ექიმები.

მოხსენებებით გამოვიდნენ საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტთა მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე საქართველოს დამსახურებული ექიმი ვ. ანიკაშვილი, ექიმი გ. მახათაძე, საქართველოს კურორტოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის აფხაზეთის ფილიალის მეცნიერი მუშაკები — მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატები ნ. მგელაძე, შ. მეტონიძე და ნ. იაშვილი, კურორტ წყალტუბოს პოლიკლინიკის ექიმი ა. კირტავა და სხვ.

კონფერენციამ მოისმინა 46 სამეცნიერო მოხსენება, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ კუჭისა და სხვა დაავადებათა მკურნალობის საქმეში.

სტუმრები სომხეთიდან და აჭარიდან

სოხუმი. (საკ. კორ.). საქართველოს ორი მოძმე ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქების ბათუმისა და სოხუმის მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრება ტრადიციად იქცა. გამოცდილების ურთიერთ გაზიარების მიზნით ამ ორი ქალაქის დელეგაციები არაერთხელ ყოფილან თანამოსაქმე კოლექტივებში, გულდამთა გასცნობიან შრომის მოწინავე მეთოდებს და დაუნერგავთ თავიანთ მუშაობაში.

სოხუმელ მშრომელთა დელეგაცია თვლის წელს თებერვალში ხუთ დღეს ეცნობოდა ბათუმის სამრეწველო საწარმოებს.

არაჩვეულებრივი გამოცოცხლება იგრძნობოდა ამას წინათ სოხუმში. მატარებლით ერეკანი-მოსკოვი და თბილისი „ადმირალი ნახიმოვი“ სოხუმელებს ეწვივნენ ძვირფასი სტუმრები — კიროვაკანისა და ბათუმის მშრომელთა წარმოგზავნილები.

კიროვაკანელთა დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ სომხეთის კომპარტიის კიროვაკანის საქალაქო კომიტეტის მდივანი ა. კირაკოსიანი, კიროვაკანის ფეხსაცმლის ფაბრიკის დირექტორი ს. აბელიანი, კიროვაკანის სპალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგე მ. გრიგორიანი, კიროვაკანის საქალაქო გაზეთ „კაციის“ („ნაპერწკალი“) რედაქტორი ბ. ბაღდასარიანი, კიროვაკანელი ნოვატორი, ერთ-ერთი ქარხნის საამქროს უფროსი გ. პეტროსიანი. ბათუმელთა დელეგაციაში შედიოდნენ საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის მდივანი ნ. თენიეშვილი, ბათუმის მთავარი არქიტექტორი დ. კომახიძე, თამბაქოს ფაბრიკის დირექტორი ს. ზოიძე, ფეხსაცმლის ფაბრიკის მოწინავე მუშა ნ. ძნელაძე, ექიმი ს. შერგაშიძე, შრომითი რეზერვების № 1 სახელოსნო სასწავლებლის დირექტორი ხ. აცამბა, № 5 სამშენებლო ტრესტის მუშა მ. ქამაშიძე და სხვ.

სომხეთიდან და აჭარიდან სტუმრების ჩამოსვლის მიზანი იყო სამი მოძმე ქალაქის მშრომელთა შეჯიბრების შედეგების, მაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობის შემოწმება, მეგობრობისა და საქმიანი კავშირის განმტკიცება.

სტუმრები გაეცნენ სოხუმის სამრეწველო საწარმოთა მუშაობას, ქალაქის ღირსშესანიშნაობებსა და ახალმშენებლობებს, წარმოების ნოვატორებს, მათს შრომის მეთოდებს.

ბათუმელი და კიროვაკანელი სტუმრები იყვნენ სოხუმის ი. ბ. სტალინის სახელობის თამბაქოს ფაბრიკაში, საკონდიტრო ფაბრიკაში, პურის № 2 ქარხანაში, ს. ორჯონიკიძის სახელობის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატში, ხორცკომბინატში, ლუდის ქარხანაში და სხვა საწარმოებში.

კიროვაკანელ და ბათუმელ მშრომელთა დელეგაციებმა მონაწილეობა მიიღეს სოხუმის მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობების, ვაჭრობის, ჯანმრთელობის დაცვის და კულტურის მუშაკთა საერთო საქალაქო შეკრებაზე, რომელიც მიეძღვნა ბიმდინარე წლის პირველი კვარტალის მუშაობის შედეგების შეჯამებას.

ლექციები მთის სოფლებში

პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი სახოგადოების რესპუბლიკურმა გამგეობამ ამ დღეებში დუშეთის რაიონში მიავლინა ქიმიკოს მეცნიერთა ჯგუფი პროფესორების ვ. კაკაბაძის, ე. ნანობაშვილის, ა. ნოღაიდელისა და დოცენტ ვ. ჩაგუნავას შემადგენლობით. მათ ლექციები წაიკითხეს დუშეთის, მჭადიჯვრის, ბაზალეთის, ფასანაურის მშრომელთათვის.

მშრომელებმა სურვილი გამოთქვეს, რომ მეცნიერებმა სოფლად უფრო ხშირად წაიკითხონ ლექციები.

ბ. არუთინოვი.

საქართველოს მხატვართა IV ყრილობის ... ...

რაჭომ არა გვაქვს ქართული პლაკატი?

რატომ არის ასე ნამორჩენილი პლაკატის ხელოვნება საქართველოში? რა ადგილი უჭირავს პლაკატს ქართულ ხელოვნებაში? ამ მტკივნეულმა საკითხებმა ჩაგვაფიქრა ჩვენ, ახალგაზრდა მხატვრები, ამან მაიძულა დამეწერა ეს წერილი.

თუ სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგში ბევრი დაოსტატდა, სამწუხაროდ, პლაკატზე ამას ვერ ვიტყვით. ერთი მხრივ ეს დარგი იმ ყველასათვის ხელმისაწვდომ ხილად გადაიქცა, რომელიც გალით შეიძლება მოწყვიტო და სხვა საქმესთან ერთად გზადაგზა შეექცე.

ამის ერთ-ერთი მიზეზი, ჩვენი აზრით, ის არის, რომ პლაკატის გამოცემის საქმე ჩვენში ცუდად არის დაყენებული.

პლაკატის გამოცემა ხდება ხოლმე მხოლოდ პირველი მაისის, შვიდი ნოემბრის დღესასწაულებთან და არჩევნებთან დაკავშირებით. პლაკატის დანიშნულება ჩვენში მხოლოდ ამით არის შემოფარგლული. თვით პლაკატი ინფორმაციულ ხასიათს ატარებს, მოკლებულია თავის ნამდვილ დანიშნულებას და ემოციური ზემოქმედების უნარს.

ჩვენში წელიწადში ხუთი-ექვსი პლაკატი თუ გამოდის. ამიტომ არის, რომ ბევრმა მხატვარმა ხელი აიღო ამ დარგში მუშაობაზე. და აი ახალგაზრდებიც, რომლებსაც გულით უყვართ და იტაცებთ პლაკატის ხელოვნება, სრულიად მოკლებული არიან შემოქმედებით სტიმულს, რათა რაიმე გააკეთონ ამ მხრივ. შეიძლება ვინმემ თქვას, რას ელოდებით, იმუშაოთ იმაზე, რაც თქვენ გიტაცებთო. მაგრამ პლაკატს სულ სხვა თავისებურება აქვს ფერწერის ან ქანდაკების ნაწარმოებისაგან განსხვავებით. მისი ნამდვილი ადგილი მხატვრის სახელოსნოში ან თუნდაც სამხატვრო გამოფენაზე კი არ არის, არამედ ხალხის, ცხოვრების შუაგულშია.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ სამხატვრო საბჭოში, რომელიც პლაკატებს არჩევს გამოსაცემად, ხშირად ნაკლებ კომპეტენტური პირები ერევიან. ისინი ცუდად ერკვევიან პლაკატის სპეციფიკაში და უნარი არ შესწევთ სწორად შეაფასონ ნაწარმოების მხატვრული ღირებულება, ითვალისწინებს რა მათ მოთხოვნილებასა და გემოვნებას, მხატვარი იძულებულია თავი დაანებოს ფანტაზიას, ორიგინალური ხერხების ძიებას და გაჰყვეს ხალტურის გზას. ეს არის იმის მეორე მიზეზი, რომ მთელმა რიგმა მხატვრებმა ხელი აიღეს პლაკატების შექმნაზე.

პლაკატი უდიდესი საგიტაციო-მასობრივი საშუალებაა, ის უნდა მიჰყვებოდეს ცხოვრებისა და მშენებლობის ყველა მნიშვნელოვან მოვლენათა რიტმს. პლაკატმა დაუყოვნებლივ უნდა თქვას თავისი სიტყვა რადიოსა და გაზეთის შემდეგ. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ ხდება. ტრადიციულად დაკანონებულმა შაბლონმა და პლაკატების გამოცემის სიმცირემ მხატვრებს დაუკარგა ხალისი და აზლებუნად და სწრაფად აზროვნების უნარი. ისინი ხშირად ორ თვეს უნდებიან პლაკატის შექმნას.

იყო პერიოდი, როცა მთელი ვოლგისპირეთი საშინელი კატასტროფის წინაშე იდგა და ათასობით დამშეული ადამიანი შველას ითხოვდა. მაშინ რომ ცნობილ პლაკატისტს მოორს ორი თვე მოენდომებინა თავისი პლაკატისათვის — „მიშველეთ!“, რაღა სარგებლობა მოჰყვებოდა ამ პლაკატს? მხატვარმა ერთი ფერისა და სიმბოლური ხერხების გამოყენებით ძლიერად დახატა ყველა ის საშინელება, რაც მაშინ იქ სუფევდა. მან თავის დროზე მიაწოდა ქვეყანას საჭირო პლაკატი. დღეს კი ხალხის კეთილდღეობისათვის პარტიისა და მთავრობის უამრავი ღონისძიებანი, რომელნიც ასახვას პლაკატში ელიან, ამ მხრივ მთლიანად უყურადღებოდ რჩება ზემოადნიშნული მიზეზების გამო. ამასთან პლაკატის სპეციფიკისათვის აუცილებლად საჭირო სიმბოლური და პირობითი ხერხების უარყოფამ პლაკატს დაუკარგა მისი ნამდვილი ენა და გადააქცია იგი ფერწერული ხასიათის ნაწარმოებად.

დღევანდელ ქართულ პლაკატებში ერთგვარი ტრაფარეტი დამკვიდრდა: მოხუცი ორდენით და ახალგაზრდა „შთაგონებული“ სახით, მაღლა გაშვერილი ხელით — ოქტომბრის დღესასწაული; ახალგაზრდა ქალი და ვაჟი, კაცს მხარზე აუცილებლად ბავშვი უზია, ხელში ატმის ყვავილის ტოტით — პირველი მაისი; ყუთი ყვავილებში, აღფრთოვანებული ახალგაზრდა ბიულეტენით ხელში, მის უკან წითელი ფონი წარწერით — „ყველანი არჩევნებზე“ — აი ძირითადი დოგმატური ჩონჩხი, რომლის ირგვლივ ტრიალებს მხატვრების ფანტაზია და ჩვენთვის ცნობილი ატრიბუტები: ყუთი, ფიგურა, ტოტი, დროშა ყოველივე ეს იქცა ტრადიციად, შაბლონად. მდარე და მოსაწყენ კომპოზიციებზე ბოლოდ თარიღები იცვლება, და პლაკატებიც მზად არის. ახალი პლაკატების შესაქმნელად გამომცემლობის მუშაკების მიერ ოქტომბრის მე-40 წლისთავისათვის წამოყენებული იქნა ორი „რაციონალიზატორული“ წინადადება: რაკი საქართველოში „არ მოიძებნება“ მხატვარი, გადაწყვიტეს მოსკოვში შეეკვეთათ პლაკატი, მაგრამ ცდა უშედეგოდ დამთავრდა. გამომცემლობის მუშაკთა პრაქტიკული მოსაზრებულობა იქამდე მივიდა, რომ შემოგვთავაზეს აგვეღო გასული წლების რომელიმე მოსკოვური პლაკატი, გადაგვეკეთებინა თარიღი და პლაკატიც ადვილად შეიქმნებოდა. ამის შემდეგ ჩვენც (დუნდუა, ჯიშკარიანი, მალაზონია) „შეექმენით“ შაბლონური პლაკატი, რომელმაც „ბრწყინვალედ“ გაიარა ადმინისტრაციული ლაბირინთი.

როდემდის უნდა გაგრძელდეს ასე?

ამრიგად, ქართველი მხატვრები მოკლებული არიან ორიგინალური პლაკატების შექმნის შესაძლებლობას. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს, პირველ ყოვლისა, ჩვენი მხატვრების შეუფასებლობაა. სამწუხაროა ის გარემოება, რომ ზოგიერთი გამომცემლობის მიერ პლაკატზე შემოღებულია უცნაური კრიტერიუმი. „მოსკოვში ასე არ გაკეთებულა“, „მოსკოველი მხატვრები ასე არ აკეთებენ!“ და სხვა მრავალი... რატომ უნდა გახდეს ქართული პლაკატი ივანოვის, კორეცკის და კოკორეკინის კარგი პლაკატების უსუსური ასლი?

სამხატვრო აკადემია ყოველწლიურად ათობით ახალგაზრდა პლაკატისტს მატებს ქართველ მხატვართა კოლექტივს. რისთვის არიან ისინი საჭირო? წელიწადში ოთხი-ხუთი პლაკატისათვის? ეს ძალიან პასუხსაგები ამოცანა სათუთად და გულისყურით უნდა შეისწავლოს კულტურის სამინისტრომ.

ყოველივე ამის შედეგად ალბათ ბევრს დაებადება კითხვა, როგორ მოხდა, რომ ქართულმა რეკლამებმა დიდი წარმატება მოიპოვეს ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადაზე მოსკოვში? მთელი საიდუმლოება ამ პლაკატების წარმატებისა მხოლოდ ის იყო, რომ მხატვრები თავისუფალნი იყვნენ თავიანთ შემოქმედებითს ძიებაში.

კარიკატურული პლაკატის ჟანრი ხომ ჩვენში მთლიანად უარყოფილია! ამ ხნის მანძილზე ამ ჟანრის მხოლოდ ერთი-ორი პლაკატი თუ გამოიცა. ლაპარაკიც ზედმეტია იმაზე, თუ რა მდარე ხარისხის პროდუქცია მოგვეპოვება კინოსა და თეატრის სარეკლამო ხელოვნებაში. რაც შეეხება საგიტაციო პლაკატებს და რეკლამებს: „შეინახეთ თქვენი ფული შემნახველ სალაროში!“, „დაიზღვევეთ თქვენი სიცოცხლე!“ „დაიცავით ქუჩაში მოძრაობის წესები“, და სხვ., ისინი მხოლოდ მღებავთა „შეოქმედებას“ უნდა მიეკუთვნოს.

მხატვართა კავშირმა, სამხატვრო აკადემიამ და კულტურის სამინისტრომ ყოველი ზომა უნდა იხმარონ ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. მაქსიმალურად გამოყენებულ უნდა იქნას ყველა შესაძლებლობა, რათა მხატვართა ნიჭიერი კოლექტივი მხარში ამოუდგეს ხალხს, პარტიასა და მთავრობას ნამდვილი, მებრძოლი, ორიგინალური პლაკატებით.

ნ. მალაზონია.

მეშახტეები კურორტებზე

ტყიბული. (საკ. კორ.). ამ დღეებში მეშახტეთა ერთი ჯგუფი დასასვენებლად გავიგზავნა ჩვენი ქვეყნის საუკეთესო კურორტებზე — სოჭში, გაგრაში, ქობულეთსა და ბორჯომში. სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში შვებულება უკვე გაატარა ასამდე მეშახტემ. გამყვანთა ბრიგადის ბრიგადირმა, სოციალისტური შრომის გმირმა პ. ქელიშვილმა შვებულების დღეები წყალტუბოში გაატარა. ზღვის პირას, გაგრაში დაისვენა ამფეთქებელმა ი. ვარდოსანიძემ.

წელს პროფკავშირული საგზურებით კურორტებზე რამდენიმე ასეული მეშახტე დაისვენებს.

ჩაუმქრალი კერა

ქარი ჩამდგარა

ავბედად ამდგარი ქარაშოტი მთელი ღამე ზუილითა და ზათქით ეხეთქებოდა ფანჯრებს.

გალურსული იწვა ქართლოსი, ცრემლიანი თვალებით გასცქეროდა სიბნელეს.

არა, გამთენიის ხანს ერთი წუთითაც აღარ მოიცდის ამ უცხო სახლში გულდარდიანი ბიჭუნა. დილის ბინდ-ბუნდში შეუმჩნეველად გაერიდება რკინის მესერით შემორაგულ მტრედისფერ შენობას და ვიწრო ბილიკით ჩაჰყვება თავქვეს. ტყესა და კორდებს, მთებსა და მინდვრებს სულმოუთქმელად გაიცლის ფეხმარდი ქართლოსი. ძძისფერ ჩანჩქერთან ფერად-ფერად ყვავილებს დაკრეფს და შებინდების ხანს ალბათ შორიდანვე მიინიშნებს თავის კარმიდამოს.

მერე ხევ-ხევ გაჰყვება სოფლისკენ აღმართს და, დედის საფლავთან ჩაცუცქებული, იქვე დამარხულ მამასაც დაიტირებს...

პირველი დილა თენდება, რაც ჩამქრალ კერას გაარიდეს მტირალი ქართლოსი. საბავშვო სახლში მოყვანილ ბიჭუნას კიდევ უფრო შემოენთო დარდი და მარტობა. ამ უცხო მხარეში კიდევ უფრო ტკბილი და ძვირფასი გახდა სამარეში უდროოდ ჩასული დედა.

ცისმარე დილით შვილის საწოლთან უყვარდა მისვლა ძაძებით მოსილ დედას. მივიდოდა და ალერსითა და ნაზი ამბორით აღვიძებდა თავის სულთადგმას...

ახლაც მოსულა შვილის საწოლთან წელში მოხრილი დედა. მოსულა დედა და მძინარე ქართლოსს მზრუნველი ხელით უსწორებს საბანს, გაოფლილ შუბლს გადაუწმენდს და სიყვარულით ეამბორება.

— ჩემი დედიკო! — ნეტარებით ჩურჩულებს ბურანში მყოფი ბავშვი და ორთავე ხელებს იწვდის დედისკენ.

— შენი დედიკო ვიქნები დღეიდან, — ჩურჩულითვე ეპასუხება აღმზრდელი ქალი მკერდზე მოხვეულ ბიჭუნას.

„შენი დედიკო ვიქნები დღეიდან!“, — ქართლოსის გარდა ვინ მოთვლის რამდენ გოგონასა და ბიჭუნას უთხრა ეს ტკბილი სიტყვები დედა უმანკომ.

ოცი წელია მახარაძის საბავშვო სახლის დირექტორად მუშაობს უმანკო ჭეიშვილი და ამ ხნის მანძილზე მშობლიური სითბო და ალერსი არ მოუკლია პატარებისათვის.

აბა შეხედეთ, ვისზე ნაკლებად დაუდის კუდრაჯა · გოგონები და თვალმოციმციმე ვაჟები. ტანზე სუფთა და ახალთახალი ტანისამოსი აცვია ყველას, არც მყუდრო ბინა და ყუათიანი საჭმელსასმელი აკლიათ, სწავლის ღროს სწავლაც იციან გალაღებულმა ბავშვებმა და გარჯა-შრომასაც ახლავე აჩვევენ ხელებს.

— ჩავიდეთ ეზოში, — ისევ აბუზულ ქართლოსს დასტრიალებს თმაშევერცხლილი ქალი, — ჩავიდეთ-მეთქი, შენი ახალი ტოლ-მეგობრები უნდა გაგაცნო... ქარი ჩამდგარა. ვაქენძილ ღრუბლებში ამონთებულ მზეს ღულუნ-ღულუნით შესთამაშებენ ღაბუა მტრედები.

მერცხლები არ ივიწყებენ თავიანთ ბუდეს

ოთახში შეეყვანა ქართლოსი დეიდა უმანკოს და ცხრათავა დევისა და კოპლი მეწისქვილის ზღაპარს უყვებოდა.

— სტუმარი მოდის! — მოუულოდნელად დაიძახა ვიღაცამ.

სათვალეს ზემოდან ახედა ქალმა კართან ჩამომდგარ სტუმარს, ახედა და მაშინვე ხელებგაშლილი წამოენთო.

დიდხანს იკრავდა გულში ახალმოსულს დეიდა უმანკო, დიდხანს უკოცნიდა ცრემლიან თვალებს.

— ტატიანა, ჩემი ცხვირაპეტუა ტატიანა, — სიხარულით ჩურჩულებდა ბედნიერი ქალი.

ვერც ტატიანამ დაიცხრო გული. ისევ და ისევ სლუკუნითა და ცრემლების წმენდით ეხვეოდა დეიდა უმანკოს.

ერთი ციდა იყო ტატიანა სუკოვა, სბავშვო სახლში რომ მოიყვანეს. ამ ნათელ შენობაში წამოიჩიტა და გაიზარდა იგი. აქვე გაიგო ქვეყნის ავკარგი. შრომისა და ცოდნის სიყვარულიც აქ შეითვისა.

ხუთი წლის წინათ მერცხლის ბარტყივით გაუფრინდა ტატიანა დეიდა უმანკოს და მოსკოვის უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტი წარჩინების დიპლომით დამთავრა.

ჩვენმა ქვეყანამ, ჩვენმა ხალხმა საშუალება მისცა უდიდესმა გოგონას ცხოვრების დიდ გზაზე გამოსულიყო. ტატიანა სუკოვა ახლა ისევ ეწვია თავის კერას, ეწვია, რათა ერთხელ კიდევ მოინახულოს თავისი ძვირფასი აღმზრდელები და მადლობა უთხრას იმ სითბოსა და მზრუნველობისთვის, რაც მათ გაუწიეს გოგონას...

ხოხობივით განაბული დეიდა უმანკოს კალთაში მიყუჟული ქართლოსი, განაბული და ყურებდაცქვეტილი უსმენს საუბარს.

პირგაბადრული დეიდა უმანკო კი გაუთავებლად ჰყვება და ჰყვება თავისი შვილების ამბავს.

ლიდა სპირჩუკი და ლიზა ნედოსლკინა ოდესის პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლობენ თურმე, ალექსი ბოკაძეს კი უკვე დაუმთავრებია თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და ამასწინათ საბავშვო სახლშიც ყოფილა სტუმრად.

არც მფრინავი ალექსი ჩერნიკოვი, აგრონომ ანიკაი თოხაძე, მედეა ბებნაძე, ლილი პატარავა და სხვები ივიწყებენ თავიანთ აღმზრდელებს.

მართლა, ერთი ამბავიც უნდა ახაროს დეიდა უმანკომ თავის ცისფერთვალება გოგონას.

მთავრობის დადგენილებით, მახარაძის საბავშვო სახლისთვის ორსართულიანი შენობა ააგეს ბახმაროში და ზაფხულის არდადეგებს ახლა ასწლოვან ფიჭვნარში ატარებენ აღსაზრდელები.

ერთხანს გარინდებული გასცქერის სივრცეს ფიქრებში წასული ქალი და მერე სათვალის სწორებით დასძენს:

— ახლა კი წავიდეთ, ჩვენი ძალებით დიდი კონცერტი უნდა გავმართოთ ქართლოსისა და შენს პატივსაცემად.

ყვავილების ზეიმია

მთის კორტოხებიდან ამდგარი ნიავი ანცობითა და შარიშურით ელამუნება ტანაყრილ ხეებს. მარადმწვანე მცენარეებითა და ყვავილნარებით დამშვენებულ ფერდობზე მახარაძის საბავშვო სახლის კოპწია შენობა ჩამომდგარა.

საითაც გახედავ, დერეფნებში თუ საწოლ ოთახებში, აივნებზე თუ ეზოში, ყველგან სანიმუშო სისუფთავე და წესრიგი სუფევს, ყველაფერს გამრჯე და მზრუნველი ხელი ატყვია.

გემოვნებით მორთულ სასადილო ოთახს გართობა-დასვენების დარბაზი ცვლის, მყუდრო სამკითხველოს კი ნათელი სამეცადინო ოთახები.

კლუბში მოწყობილ სტენდებზე სხვადასხვა ექსპონატები გამოუფენიათ ბავშვებს. აქეთ ხელგარჯილობის ფრის წევრების მიერ დამზადებული მაკეტები იტაცებს თვალს, იქით კიდევ სადა და ფაქიზი გემოვნებით შესრულებული ნაქარგები.

ცალკე კუთხე აქვთ დათმობილი საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეებს. მახარაძის საბავშვო სახლმა ოთხჯერ მიიღო მონაწილეობა ამ გამოფენაში და ოთხჯერვე ჯილდო და მაღალი შეფასება დაიმსახურა.

წელსაც ემზადებიან ბავშვები სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად. ამიტომაც არის, — როგორც კი თავისუფალ დროს მოიხელთებენ, მაშინვე მკლავებაკაპიწეებული დაფუსფუსებენ თავიანთ ბაღჩა-ბაღებში. გულდაგულ უვლიან ნათესებს, ცდებსა და დაკვირვებებს ატარებენ.

სწავლასა და შემოქმედებით შრომაში იწურება ყოველი დღე, ბედნიერებითა და კიდევ უფრო ნათელი მომავლის იმედით აღსავსე დღე.

შებინდების ხანს კი ფართოდ დაცემულ ეზოში იკრიბებიან თვალმოციმციმე ბავშვები და სიმღერითა და ცეკვა-თამაშით ახმიანებენ გარემოს.

ახლაც ლხინი აქვთ პატარებს. ლორთქო ბალახზე ხელიხელგადახვეული ჩამომსხდარან ქართველი ნათელა დუმბაძე და უკრაინელი ლუბა ფედორენკო, რუსი ვალენტინ შჩერბაკოვი და აზერბაიჯანელი ჯაზმა ჰალიმოვი, ოსი ანტონ ჩარაშვილი და სომეხი მიხეილ ავეტისიანი...

ილხენენ პატარები და გალმა-გამოღმა მწვერვალებს სწვდება მათი წკრიალა სიმღერა, მათი გულღია კისკისი.

დოლისა და აკორდეონის ხმაზე ერთმანეთს ენაცვლება ცეკვა „ქართული“ და „სამაია“, „განდაგან“ და „მთიულური“. მომღერლებს ნორჩი პოეტები ცვლიან, დეკლამატორებს — მხატვრული ტანმოვარჯიშეები.

ფერუბლო ციდან კეთილი ღიმილით იჭვრიტება პირსავსე მთვარე. კოცონის ირგვლივ ახლოფერხულში ჩაბმულან პატარები და ხმაშეწყობილი აგუგუნებენ სიმღერებს.

თეთრხალათიან აღმზრდელებს შუაში ჩაუსვამთ ქართლოსი. გაფაციცებით შესცქერის ბიჭუნა სიხარულითა და ბედნიერებით პირგაბადრულ თავის დობილებსა და ძმობილებს. შესცქერის და რალაც საამო ნეტარება წვეთ-წვეთად ეღვენთება გულში.

— არა, არ ჩამქრალა ქართლოსის კერა! — ამას მეტყველებს აი ეს სიმღერა, ეს ღიმილი და ეს ბობილი უბე.

ო. დემეტრაშვილი.

ს უ რ ა თ ზ ე: მახარაძის საბავშვო სახლის მოცეკვავეთა გუნდი ასრულებს ცეკვა „მთიულურს“. ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებისათვის, „ცივი ომის“ ღიკვიდაციისათვის

საბჭოთა მთავრობის გამოხმაურება ნ. ს. ხრუშჩოვის წერილზე ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა

ბეკინი, 18 ივნისი. (საკდესი). გაზეთები „ჟენმინჟიბაო“, „დაგუნბაო“, „გუნჟენჟიბაო“ და „გუანმინჟიბაო“ დღეს ათავსებენ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ დ. ეიზენჰაუერისადმი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის წერილის შინაარსს. გაზეთების სათაურებში აღნიშნულია, რომ მთავრობათა მეთაურების თათბირისათვის მზადება შეჩერდა და რომ დასავლეთმა პატიოსნად უნდა თქვას, სურს თუ არა დაიწყოს ასეთი თათბირი.

პოლონეთი

ვარშავა, 18 ივნისი. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის 11 ივნისის წერილმა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ დ. ეიზენჰაუერისადმი ცოცხალი გამოხმაურება გამოიწვია პოლონეთის საზოგადოებრიობაში. გაზეთები აღნიშნავენ, რომ საბჭოთა მთავრობის მეთაურის წერილში განსაზღვრულია საერთაშორისო დაძაბულობის შენელების მიღწევის კონკრეტული გზები.

თავის წერილში, წერს გაზეთი „ეცეევარშავი“, ნ. ს. ხრუშჩოვი გადაჭრით აღნიშნავს, რომ თუ დასავლეთის სახელმწიფოები მზად არ არიან დღეს განიხილონ ყველა საკითხი, რომლებიც საბჭოთა კავშირმა შეიტანა, შეიძლება აირჩეს ზოგიერთი ამ საკითხთაგანი და მიღწეულ იქნეს მათზე შეთანხმება. ეს გააადვილებდა შემდგომ წინსვლას მშვიდობის განმტკიცების გზით.

ამჟამად მთელ პოლონეთში ეწყობა მშრომელთა მიტინგები და კრებები მშვიდობის დასაცავად. მუშები, გლეხები, ინტელიგენცია, ახალგაზრდობა, იწონებენ რა საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას, მრითხოვენ დაუყოვნებლივ შეწყდეს ატომგულის იარაღის გამოცდა, შეიქმნას ევროპაში ატომური, წყალბადისა და რაკეტული იარაღისაგან თავისუფალი ზონა, აგრეთვე განხორციელდეს სხვა ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ხალხთა უშიშროებას.

რუმინეთი

ბუქარესტი, 18 ივნისი. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის წერილი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ დ. ეიზენჰაუერისადმი, აგრეთვე ინგლისისა და საფრანგეთის პრემიერ-მინისტრებისადმი, აღნიშნავს დღეს გაზეთი „სკინტეია,“ საბჭოთა კავშირის განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია უმაღლეს დონეზე თათბირის მოწვევის საკითხში. ხალხები დიდ იმედს ამყარებენ მთავრობათა მეთაურების ამ შეხვედრაზე. მათ იგი მიაჩნიათ ერთობლივ ღონისძიებათა კონკრეტულ შესაძლებლობად გამოინახოს ყველაზე საარსებო საერთაშორისო საკითხების მოწესრიგების გადაწყვეტა, აგრეთვე საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობის განმტკიცებისაკენ საერთაშორისო ვითარებაში ძირეული მობრუნების განხორციელების გზები.

ხაზგასმით აღნიშნავს რა, რომ პასუხისმგებლობა უმაღლეს დონეზე თათბირის მოწვევის გაჭიანურებისათვის ეკისრებათ დასავლეთის სახელმწიფოებს და პირველ რიგში ამერიკის შეერთებულ შტატებს, „სკინტეია“ შემდეგ წერს: საბჭოთა კავშირის ყველა წინადადება ამ საკითხებზე, რომლებიც წამოყენებულია მთავრობათა მეთაურების თათბირის განსახილველად, ეხება უმნიშვნელოვანეს და ყველაზე საარსებო საერთაშორისო პრობლემებს, რომლებზეც მოლაპარაკების მონაწილეთა კეთილი ნების არსებობისას არის პრაქტიკული შესაძლებლობა ახლავე იქნას მიღწეული დადებითი შედეგები. ამ საკითხებზე შეთანხმების მიღწევა ნაკლებ როდი შეესაბამება დასავლეთის ყველა ხალხის ინტერესებს, ვიდრე აღმოსავლეთის ხალხებისას.

ჩვენს დროში ხალხები, დარწმუნებულნი თავიანთ ძალაში, აღნიშნავს გაზეთი, კიდევ უფრო მეტი სიმტკიცით მოსთხოვენ დასავლეთის სახელმწიფოებს, რომ მათ უარი თქვან დღემდე დაკავებულ პოზიციაზე და დაეთანხმონ უმაღლეს დონეზე თათბირის მოწვევას. ასეთ თათბირს მოჰყვებოდა საერთაშორისო ატმოსფეროს გაჯანსაღება. ამ საყოველთაო მოთხოვნას მთელი სიმტკიცით უერთებს ხმას რუმინელი ხალხიც. საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, მშვიდობის განმტკიცებას დაბეჯითებით მოითხოვს დღევანდელი დღე. ამ საქმეს ხალხები ახმარენ მთელ თავის ენერგიას.

ინდოეთი

დელი, 18 ივნისი. (საკდესი). „ხრუშჩოვი მოითხოვს გარკვეულ პასუხს, თუ როგორია დასავლეთის განზრახვები უმაღლეს დონეზე თათბირის მიმართ“ — ასეთი დიდი სათაურით გაზეთი „ჰინდუსტან სტანდარდი“ აქვეყნებს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ დ. ეიზენჰაუერისადმი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის წერილის შინაარსს.

გაზეთი „სტეიტსმენი“ სათაურში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ნ. ს. ხრუშჩოვი თავის წერილში აკრიტიკებს დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიციას მოლაპარაკების მიმართ. გაზეთი წერს, რომ საბჭოთა კავშირი ეკითხება დასავლეთის სახელმწიფოებს, მართლა სურთ თუ არა მათ, რომ მოეწყოს თათბირი უმაღლეს დონეზე.

ა. ნოვოტნის მოხსენება ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის XI ყრილობაზე

პრაღა, 18 ივნისი. (საკდესი). გამოვიდა რა დღეს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის XI ყრილობაზე ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებით, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ანტონინ ნოვოტნიმ განაცხადა, რომ ჩეხოსლოვაკიის მუშათა კლასმა აიშენა სოციალისტური სახელმწიფო, რომელიც ბურჟუაზიული სახელმწიფოსაგან განსხვავებით არა მარტო აცხადებს სამოქალაქო უფლებებსა და თავისუფლებებს, არამედ უწინარეს ყოვლისა ქმნის მატერიალურ და კულტურულ პირობებს მათი განხორციელებისათვის.

სოციალისტური საწარმოო ურთიერთობის მტკიცე ბაზაზე, აღნიშნა მომხსენებელმა, მიმდინარეობს მთელი სახალხო მეურნეობის და, უწინარეს ყოვლისა, მრეწველობის სწრაფი განვითარება.

ჩეხოსლოვაკიაში, განაცხადა ა. ნოვოტნიმ, ფაქტიურად აღმოფხვრილია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია და აშენებულია ხოციალიზმის საფუძვლები. იმან, რომ ჩვენ ძლევამოსილ სოციალისტურ ბანაკს ვეკუთვნით, საბჭოთა კავშირთან მტკიცე კავშირმა და ჩვენს მიერ მიღწეულმა შედეგებმა საშუალება მოგვცეს დაგვესახა შემდეგი მიზანი — სოციალიზმის მშენებლობის დამთავრება ჩვენს ქვეყანაში.

ილაპარაკა რა სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტივებზე, ა. ნოვოტნიმ აღნიშნა, რომ 1965 წელს სამრეწველო წარმოება 1957 წელთან შედარებით გადიდდება 90-95 პროცენტით, სასოფლო-სამეურნეო წარმოება — 40 პროცენტით. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ გათვალისწინებულია უახლოეს ორ წელიწადში ძირითადად დამთავრდეს კოოპერაციულ მსხვილ წარმოებაზე გადასვლა სოფლად.

შეეხო რა საერთაშორისო საკითხებს, ა. ნოვოტნიმ თქვა, რომ ჩეხოსლოვაკიას თავის გადაუდებელ ამოცანად მიაჩნია აწარმოოს მედგარი ბრძოლა დასავლეთ გერმანიის შემდგომი მილიტარიზაციის წინააღმდეგ და განსაკუთრებით ბონის არმიის ატომური და რაკეტული იარაღით აღჭურვის წინააღმდეგ. მან დაადასტურა, რომ ჩეხოსლოვაკია მზად არის შევიდეს ცენტრალური ევროპის უატომო ზონაში, თუ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა უარს იტყვის ახლანდელ მილიტარისტულ კურსზე და მზად იქნება შეიყვანოს დასავლეთი გერმანია ამ ზონაში იმავე პირობებით.

ა. ნოვოტნიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ თათბირი უმაღლეს დონეზე ხელს შეუწყობდა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და დაგმო დასავლეთის სახელმწიფოთა მისწრაფება გაჭიანურონ ამ თათბირის მოწვევა.

მომხსენებელმა კატეგორიულად უარყო იმპერიალისტების ცდა ჩაერიონ ჩეხოსლოვაკიის საშინაო საქმეებში, განაცხადა რა, რომ ევრეთწოდებული აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების საკითხი არ არსებობს.

შემდეგ ნოვოტნიმ ხაზგასმით აღნიშნა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის მძლავრი და განუხრელი განვითარება. განვლილ პერიოდში, თქვა ა. ნოვოტნიმ, ყველა კომუნისტურ პარტიას ახალი მძლავრი იმპულსი მისცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ, პარტიისა, რომელიც ჩვენი მოძრაობის მოწინავე რაზმია.

აღნიშნა რა, რომ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის მტკიცე და საიმედო რაზმია, ა. ნოვოტნიმ ხაზი გაუსვა რევიზიონიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საჭიროებას და გააკრიტიკა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის რევიზიონისტული შეხედულებანი და პროგრამა, მიღებული იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის VII ყრილობაზე.

ბრძოლები ალჟირში

პარიზი, 18 ივნისი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო ალჟირიდან იუწყება, კაბილიის რაიონში მოხდა ფრანგ პარაშუტისტთა ქვეგანაყოფის შეტაკება ალჟირელ აჯანყებულთა დიდ რაზმთან. საფრანგეთის ჯარების მოქმედებას ეხმარებოდა ავიაცია. სააგენტოს ცნობით, ალჟირელმა აჯანყებლებმა დაკარგეს 55 კაცი მოკლულთა სახით. ფრანგებმა დაკარგეს 13 ჯარისკაცი მოკლულთა სახით და 8 დაჭრილთა სახით.

მეორე ბრძოლა მოხდა 10 კილომეტრზე ბენია-მანსურის ჩრდილოეთით.

ქალაქის მყუდროება რომ არ დაირღვეს...

ჩვენი „ფხიზელი თვალი“ — ხშირად ასე ამბობენ ჩვენი მილიციისა და მისი მუშაკების შესახებ. ეს სწორიც არის. საბჭოთა მილიციელი დღეღამის ყოველ დროს ფხიზლად იცავს ყველას მოულოდნელი უსიამოვნებისაგან, მტკიცედ დგას საბჭოთა კანონიერების სადარაჯოზე. მისი მუშაობა დაკავშირებულია მრავალ სიძნელესთან, საფრთხესთან, რაც უფრო საინტერესოს ხდის მის ყოველდღიურ ცხოვრებას და საქმიანობას.

...ეი ჩვენ თბილისის მილიციის საქალაქო სამმართველოს მთავარი მორიგის კაბინეტში ვართ. მაგიდაზე ორ რიგად ჩამწკრივებულა ტელეფონის აპარატები. აქედან მორიგე უკავშირდება ქალაქის ყველა განყოფილებას და საგუშაგოებს. ხოლო მას შეიძლება დაუკავშირდეთ, თუ დარეკავთ 02-ს. დღეს პასუხისმგებელი მორიგის საპატო მოვალეობას ასრულებს უფროსი ლეიტენანტი ალექსანდრე ჩაჩანიძე.

— დილის 10 საათზე ჩავიბარე მორიგეობა პოდპოლკოვნიკ გ. შველიძისაგან, — გვეუბნება იგი, — როგორც მან გადმომცა, მისი მორიგეობის დროს აღნიშნულია საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის მხოლოდ ორი შემთხვევა.

ისმის ტელეფონის ზარის წკრიალი. აჰა. ჩაჩანიძე იღებს ყურმილს. კიროვის რაიონის მილიციის მორიგე ნ. მიქაძე მას მოახსენებს, რომ დაკავებულია დამნაშავე ს. მამისთვალოვი, რომელმაც ლესელაძის ქუჩაზე ფეხსაცმლის მაღაზიაში განიზრახა ფული მოეპარა მყიდველი ქალისათვის.

არ გასულა 20 წუთი, რომ კვლავ რეკავს ტელეფონი. პასუხისმგებელ მორიგეს ატყობინებენ, რომ მიასნიკოვის ქუჩაზე გაზ-51 მარკის გუ 99-11 ავტომანქანა დაეჯახა მოქალაქე ბ-ის, რომელიც მძიმედ დაშავდა. მძღოლმა მანქანა მიატოვა და მიიმალა. მისი გვარი დადგენილია: მუსა გარიბ ოღლი.

— ცუდი ამბავია! — თქვა მორიგემ და ოპერატიულ ჯგუფს დაავალა დაუყოვნებლივ შეადგომოდნენ დამნაშავის ძებნას.

9 საათი და 30 წუთია. ტელეფონის ზარი კვლავ უხმობს მორიგეს. კალინინის რაიონის მილიციის განყოფილების მორიგე ვ. ჯიქია იტყობინება: მოსწავლეთა ჯგუფს, რომელიც მასწავლებლს ჰყავდათ ჩამოყვანილი ჯავის რაიონიდან, ჩამორჩა 12-13 წლის ორი გოგონა.

— რა გვარები არიან? — ეკითხება მორიგე.

— ზაირა ალბოროვა და ნატაშა თოთოროვა!

—კარგი, ზომებს ახლავე მივიღებთ.

ა. ჩაჩანიძე სწრაფად იღებს „ცირკულარის“ ყურმილს. ოთახის სიჩუმეში გაისმის მისი დინჯი, დამაჯერებელი ხმა: — ყურადღება, ყურადღება! მილიციის ყველა განყოფილებას და საგუშაგოს! დაიკარგა ორი ბავშვი 12-13 წლისა, მათი გვარებია... სასწრაფოდ მიიღეთ ზომები.

ოთახში შემოდიან ქალი და ახალგაზრდა კაცი. მათ სახეზე ალელვება აღბეჭდვიათ.

— ჩვენი ოჯახის წევრი მ. ნიკოლაიშვილი დილით თერმეტის ნახევარზე გავიდა სახლიდან და არ დაბრუნებულა, — ამბობს ცრემლმორეული ქალი, — დაგვეხმარეთ.

— ნუ ღელავთ, — ამშვიდებს მორიგე, — მას რაიმე შემთხვევა რომ მოსვლოდა, შეგვატყობინებდნენ. ახლა წაბრძანდით და დაგვირეკეთ ორი საათის შემდეგ. იგი ინიშნავს გვარს, სახელს და ძალევა მორიგ განკარგულებას.

10 საათია. ოთახის მყუდროებას კვლავ არღვევს ტელეფონის ზარი. ფალაშვილის ქუჩაზე № 81 სახლში მოქალაქე მ. უშაკოვის ბინაზე უსიამოვნება მოხდა, თხოულობენ დახმარებას. რამდენიმე წუთში მილიციის მანქანით სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროს ოპერრწმენებულებთან ა. კეზევაძესთან და გ. ნაჭყებიასთან ერთად უკვე შემთხვევის ადგილზე ვიყავით. საბედნიეროდ, მომხდარი უსიამოვნება მილიციის მუშაკთა ჩარევისაგან მალე მოგვარებული აღმოჩნდა. კეზევაძე და ნაჭყებია თითქოს „ნაწყენი“ დარჩნენ, რომ ამჯერად „დამრღვევი“ ვერ წარუდგინეს სახალხო მართლმსაჯულებას.

...ქალაქის მორიგესთან დაბრუნებისას დაგვხვდა ცნობა, რომ გამოსაფხიზლეზე მოიყვანეს მთვრალი ვ. ყურაშვილი, რომელიც მილიციის მუშაკებმა ქარლ მარქსის მოედანზე დაეკავებინა. იგი ეჩხაბა ილანძღებოდა და შეურაცხყოფას აყენებდა გამვლელებს. მთვრალი ცივი შხაპის ქვეშ გამოაფხიზლეს და ახლა სძინავს ღრმა ძილით.

ოთახში შემოიყვანეს მანქანის მძღოლი ვ. კულეშოვი. იგი მართავდა საქპუტრტრესტის გაზ-51 გმ 56-47 მანქანას. მძღოლი დააკავეს მოძრაობის მომწესრიგებელი გაყოფილების ინსპექტორებმა შ. მღებრიშვილმა და ს. არუთინოვმა, ვინაიდან მთვრალი იყო და კაბინაში სამი მგზავრი ეჯდა.

კვლავ დარეკა ტელეფონის ზარმა.

— ახლა კი სასაამოვნო ამბავი გადმომცეს, — კმაყოფილების ღიმილი აღებეჭდა სახეზე ჩაჩანიძეს, — მილიციის მუშაკებმა ეპოვნეს პატარები თოთოროვა და ალბოროვა და ჩაბარეს პატრონებს. ყოჩაღ, კარგად უმუშავნიათ.

ამ საღამოს კიდევ ქალაქის მრავალმა მცხოვრებმა დარეკა მორიგესთან. ქალაქის მორიგე ყველას გულმოდგინედ უსმენს, დინჯად აძლევს პასუხს, შეძლებისდაგვარად ეხმარება მთხოვნელებს.

ოთახში შემოდის ქალაქის მილიციის სამმართველოს უფროსი ა. ძრიელიშვილი. იგი გულდასმით ეცნობა დღის შედეგებს. უკმაყოფილოა. სამწუხაროა, რომ ჩვენს სინამდვილეში კიდევ აქვს ადგილი საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ფაქტებს. დღემდე მოლიანად არ არის აღკვეთილი მავნე გადმონაშთები: ხულიგნობა, ლოთობა, წვრილმანი ქურდობა.

— ახლა განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა საგზაო ავარიების საქმეში, — გვეუბნება ამბ. ა. ძრიელიშვილი, — მოქალაქეები ხშირად თვითონ იჩენენ დაუდევრობას და არღვევენ მოძრაობის წესებს, უხტებიან მოძრავ ტრანსპორტს, გადასასვლელებზე არ უყურებენ შუქფარის ნიშნებს. ფართო საზოგადოებრიობამ უნდა მიიღოს მონაწილეობა საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლაში, ამით თვითეული მოქალაქე დიდ დახმარებას გაუწევს მილიციის მუშაკებს ქალაქში ნორმალური სიმშვიდის დამყარებაში.

გვიან ღამით ვემშვიდობებით მილიციის მუშაკებს. მათთან გატარებულმა ერთმა დღემ გვიჩვენა როგორი მონდომებით იბრძვის ჩვენი მილიცია საზოგადოებრივი წესრიგის უოველგვარი დარღვევის აღსაკვეთად. მაგრამ თუ მთელი საზოგადოებრიობა აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ჩვენი ქალაქის სიმშვიდის დამცველთა საქმიანობაში, დარწმუნებული ვართ, შემთხვევებიც საგრძნობლად ნაკლები იქნება, ქალაქის მორიგის ოთახში მთელი დღისა და ღამის განმავლობაში ერთხელაც არ აწკრიალდება ტელეფონის ზარი, — უბედური შემთხვევის მაუწყებელი.

გ. ქვრივიშვილი.

რესპუბლიკისა და დემოკრატიული თავისუფლების დასაცავად

პარიზი, 18 ივნისი. (საკდესი). დღეს პარიზში მიმდინარეობს ოფიციალური ცერემონიები იმის გამო, რომ 18 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც გენერალმა დე გოლმა 1940 წელს საფრანგეთის მოსახლეობას მოუწოდა ბრძოლა ეწარმოებინა ჰიტლერელ ოკუპანტთა წინააღმდეგ. მთელი რიგი მემარჯვენე და ფაშისტური ორგანიზაციები ამირებენ ეს ცერემონიები გამოიყენონ საბაბად სხვადასხვა ანტირესპუბლიკური მანიფესტაციისა და პროვოკაციული გამოსვლებისათვის. ამასთან დაკავშირებით ფაშიზმისადმი წინააღმდეგობის კომიტეტმა მოუწოდა ყველა რესპუბლიკელს გამოიჩინოს სიფხიზლე და დაუყოვნებლივ გასცეს პასუხი ფაშისტ ელემენტთა ყოველგვარ ხრიკებს.

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის, შრომის საყოველთაო კონფედერაციისა და ზოგიერთი სხვა დემოკრატიული ორგანიზაციის მოწოდებით დღეს მთელ საფრანგეთში ეწყობა პირადი ხელისუფლების დამყარების წინააღმდეგ და რესპუბლიკის დასაცავად ბრძოლის ეროვნული დღე.

პარიზსა და მის გარეუბნებში, ბრესტში, ლიონში, რენეში, რუანში, ჰავრში, გრენობლში, სენტ-ეტიენსა და საფრანგეთის ბევრ სხვა ქალაქში ეწყობა მასობრივი მიტინგები და მანიფესტაციები რესპუბლიკურ და დემოკრატიულ თავისუფლებათა დაცვის ლოზუნგებით.

პარიზის გაზეთების კონფისკაცია აღჭირში

პარიზი. 18 ივნისი. (საკდესი). როგორც პარიზის რადიო იუწყება, დღეს ალჟირში კონფისკაცია უყვეს პარიზის გაზეთებს „ლუმანიტეს“, „ლიბერასიონს“ და „მონდს“.

ლიბანის ამბები

ლიბანის თავდაცვის სამინისტროს კომუნიკე

ბეირუთი, 18 ივნისი. (საკდესი). ლიბანის თავდაცვის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ კომუნიკეში ნათქვამია, რომ უკანასკნელი დღე-ღამის განმავლობაში ლიბანის არმია განაგრძობდა საბრძოლო საქმიანობას, აბორიგენებდა რა დაზვერვითს ოპერაციებს ზოგიერთ რაიონში. სხვა რაიონებში ლიბანის არმიის ნაწილებზე იერიში მოიტანეს აჯანყებულებმა. შუფის რაიონში ლიბანის არმიის ნაწილებმა შეუტიეს ქალაქ ბეიტ ედ-დინს. ბექაას ხეობაში აჯანყებულებმა იერიში მიიტანეს მუნიციპალიტეტის შენობაზე, მაგრამ ისინი უკუ აქციეს. ქალაქ ტრიპოლში აჯანყებულებმა ინტენსიური სროლა აუტეხეს არმიის პოზიციებს. მედგარი ბრძოლები და სროლა გრძელდებოდა ტრიპოლში 18 ივნისის დილამდე. ორივე მხრივ არის დანაკლისი. ბეირუთში გუშინ შედარებით სიმშვიდე იყო. ქალაქში აფეთქდა ოთხი ბომბი. საწარმოები და მაღაზიები დახურულია.

გაზეთი „ჟური“ იუწყება, რომ ბეირუთის ნავსადგური მუშაობა თითქმის პარალიზებულია. 12 გემმა გადმოუტვირთავად დატოვა ბეირუთის ნავსადგური. ხუთმა გემმა ნავსადგური დატოვა უფრო ადრე ისე, რომ არც კი უცდია გადმოტვირთვა.

ჩვეულებრივ ბეირუთის ნავსადგური ყოველდღიურად იღებდა სხვადასხვა წყალწყვის 15 გემს.

ბეირუთი ალყაში

ბეირუთი, 18 ივნისი. (საკდესი). ბეირუთი ალყაშია. ალყაში ამოიღეს ბეირუთის ნავსადგური. ალყაში ამოიღეს ბეირუთის ნავსადგურ. ალყაში ამოიღეს ბეირუთის ნავსადგური. ალყაში ამოიღეს ბეირუთის ნავსადგური. ალყაში ამოიღეს ბეირუთის ნავსადგური